ცნობის ფურცელი

№ 2104 შაბათი, 22 მარტი 1896—1903 ყოველ-დღიური გაზეთი № 2104

ხელმოწ. ფასი: წლიწადში—6 მან., ცალკე ნომერი—3 კაპ., დამატებით—5 კ. ფასი განცხადებისა: თვითეულ სტრიქონი „პეტიტით" პირველ გვერდზე—10 კ., მეოთხეზე—5 კაპ.
ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბე"-„ცნობის ფურც." რედაქციის კანტორაში განჯის დიდ ქუჩაზე, № 27 და წ. გამ. ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქვაშვეთის ეკკლესიის პირდაპირ).

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირდაპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეებს გარდა, შუადღის 11—1-დე საათამდე.
ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели"-„Моамбе". ტელეფონი № 372.

წარმოდგენა 44—6. ტელეფონი 617.

ქართული თეატრი

კვირას, 23 მარტს, 1903 წ.

◆ იაფ ფასიანი წარმოდგენა ◆

ქართულ-დრამატიულ დასის მიერ წარმოდგენილი იქნება

დაკლებულის ფასებით

I

კონსტანტინე გატონიშვილი (ქეთევან წამებული)

ისტ. დრამა 5 მოქმ. ალექს. ყაზბეგისა.

მონაწილეობას იღებს მთელი დასი.

წარმოდ. 45—7. ტელეფონი 617.

სამშაბათს, 25 მარტს, 1903 წ.

◆ ნუცა ჩხეიძის მონაწილეობით ◆

ქართულ დრამატიულ დასის მიერ წარმოდგენილი იქნება:

პირველად

I

მედეია

დრამა 4 მოქმ. სუვორინისა და ბურენინისა, თარგმ. დ. მესხის მიერ

II

ქლიავი

ვოდევილი 1 მოქმედებად.

მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნნი: ნ. გაბუნია-ცაგარლისა, ალ. კარგარეთელი, ოლ. ლეჟავა, ბ. რიონელი. ბ.ბ. გ. გედევანოვი, ვ. გუნია, ს. სვიმონიძე, კ. შათირიშვილი და სხვა.

დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

მზადდება წარმოსადგენად ნათლისღების დღესასწაულებისათვის: „იანიჩარი", „ოტელო", „ჩატეხილი ხიდი", „ორი ობოლი". რეჟისორი ვ. გუნია

კბილის ექიმი

ივანე პავლეს ძე

ახალშენიშვილი

იღებს ყოველ-დღე კბილის სნეულებით ავადმყოფებს დილის 8—10 საათ. და 11—2-მდის, ხოლო საღამოობით 5—7-დის. კვირა-უქმე-დღეებში 9—2-დის და საღამოთი 5—7-დის.

ელისაბედის ქუჩა. 38. (წლ.

ექიმი

ვ. ლამბაშიძე

იღებს შინაგან და საბავშვო სნეულებით ავადმყოფებს საღამოს 6—7 საათამდე.

ბინა: ბარონის ქუჩა, № 22, დიდი ვანქის ქუჩის კუთხესთან. ტელეფონი 642

საარტისტო საზოგადოების საკონცერტო დარბაზი.

შაბათს, 22 მარტს, გალობის მოყვარულთა გუნდის მიერ პოლ. პეტრ. ფალიაშვილის ლოტბარობით გამართული იქმნება

კონცერტი

რომელშიაც მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნნი ბაბაიანი, აიზენშტატი; ბ-ნნი ბროჯივილშაუ და აგასოვი.

დასაწყისი საღამოს 8½ საათზე. (2—2)

ტფილისის

კერძო სამკურნალო

გედევანიშვილისა.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე,

დილით:

ვ. ი. ჯიჯინაძე—კბილის სნეულებანი 8—10 საათამდე.

ნ. ტ. მუღინი. ყურის, ყელის და ცხვირის 9—10.

მ. დ. ლამბაშიძე—შინაგანი: ორშაბათობით, ოთხშაბ. და შაბათობით 10—11 ს.-მდე.

მ. გ. მაღალაშვილი—შინაგანი 10—11 საათამდე, სამშაბათობით, ხუთშაბათობით.

ი. პ. ახალშენიშვილი—კბილის სნეულებანი 10—11 საათამდე.

დ. ი. ქამოძე.—საშარდეს (ქირურგიული) ავადმყოფ.: სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით 10 საათიდან 11-მდის.

ა. მუსხელოვი:—თვალის ავადმყოფობა—ორშ. ოთხშ. და შაბათ 11½—12½.

დ. ა. გედევანიშვილი, შინაგანი, ნერვების და წამლობა ელექტრონით 12—1 ს.

მ. მ. მანსვეტოვი. შინაგანი, ნერვების და ბავშვების: კვირაობით 10—12.

ბ. მ. ამბარდანოვი—სიფილისის, კანის და საშარდეს 1—2 საათამდე.

ზრ. მ. ხოდოლევსკი—ქირურგია და ორთოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათობით, პარასკეობით და შაბათობით 1—2 საათ.

საღამოობით:

მ. გ. მაღალაშვილი—შინაგანი, ბავშვების და ვენერიულისა 5—6 საათამდე. (მიკრო-ქიმიური და ბაქტერიოლოგიური გამოკვლევა.).

მუდმივი ექიმი ზ. დ. ნახარიძე.

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახი.

ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კაპ.; ოპერაციები მორიგებით. კრაოტები—სამ მანეთიდან ხუთამდე.

ადრესი: კუკია, ნიკოლოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, № 21. (ავჭალის ქუჩის დასაწყისში). ტელეფონი № 274 (წ.

არჩევნები ბათუმში

ორშაბათს, 24 მარტს, ბათუმის საბჭომ უნდა მოახდინოს არჩევნები ქალაქის მოურავისა და გამგეობის წევრისა, რადგან თავ. ი. ზ. ანდრონიკაშვილს, და ბ. გრ. ვოლსკისა სამსახურის ვადა გაუთავდათ.

სამწუხაროდ უნდა აღვიაროთ, რომ არჩევნები ცუდ პირობებში ხდება. უაზრო ბრძოლამ წარსულ არჩევნებზე არივ დარივა საბჭოს ჯგუფები, დაასუსტა წინანდელი უმრავლესობა და ვერც ახალი შექმნა. ჩვენაც ვწერდით და ახლაც ვიმეორებთ, რომ ბათუმის წინანდელს საბჭოს ამომრჩეველნი ვერ დაემდურებიან. საბჭომ უნარი გამოიჩინა და მხნედ და პირნათლად ასრულებდა თავის მოვალეობას: საქმეებიც წინ წასწია, თვითმართველობის ღირსებაც არ შებღალა და ეროვნულ ურთიერთობაშიაც მიუდგომლობა და სამართლიანობა დაიცვა. სხვას რას მოვსთხოვთ ჩვენში ქალაქის თვითმართველობას? იმ ვიწრო ფარგალში, რომელშიაც ეს თვითმართველობა მოქმედებს, იმ საშუალებით, რომელიც ხელში აქვს, ბევრის გაკეთება არ შეიძლება; ბათუმმა-კი უკანასკნელ წლებში ენერგიულად აწარმოვა საქმეები: გარეგან მოწყობისა, ხალხის განათლებისა ჯანმრთელობის მხრით ბათუმის საქალაქო მმართველობამ შესამჩნევი გაუმჯობესება მოახდინა, რასაც უარს ვერ ჰყოფენ საბჭოს წინანდელ უმრავლესობის დაუძინებელნი მტერნიც. ნუ დაივიწყებთ, რომ ბათუმის საქალაქო მმართველობის მუშაობა ნორმალურს პირობებში არ ხდებოდა: მას კრიჭაში უდგნენ მტრები, რომელნიც ყოველსავე უბრალო შეცდომას აზვიადებდნენ და საზოგადოთ ხელს უშლიდნენ ხრიკებითა, დაცინვით, თუ ინტრიგებით. გაიხსენეთ თუნდ „ჩერნომ. ვესტნიკ"-ის გაშმაგებული და ამასთანავე ლონისძიებათა დაუზოგველი ბრძოლა. მიუხედავად იმისა, რომ თვითმართველობის გამგეთ ბევრი ენერგია სჭირდებოდათ უსამართლო ბრალდებათა და ყოვლად შეუწყნარებელ ინტერესების წინააღმდეგ ბრძოლისათვის, მათ ხალისი და ბეჯითობა არ დაჰკარგეს და ერთ წუთსაც არ შეუჩერებიათ ნაყოფიერი შრომა ქალაქის ინტერესების დასაცავად და ქალაქის კეთილდღეობის გასაუმჯობესებლად.

თუმც საქმე ასე იყო, მაგრამ ამომრჩეველთა ზოგიერთი ელემენტები მაინც შეუერთდნენ პალმის მოზრეებსა, დასდგნენ მის სამარცხვინო დროშის ქვეშ და იერიში მიიტანეს საბჭოს უმრავლესობაზე, რომელსაც, როგორც ვიცით, ქართველობა შეადგენდა. ჩვენდა საუბედუროდ თვით ქართველობაშიაც თავი იჩინა უაზრო შენ ჩემობამ და საქმე შეაფერხა. ახლა ბათუმის საბჭოში შესამჩნევი უმრავლესობა აღარ არის და სწორედ ეს გარემოება ჰბადავს იმ ცუდ პირობებსა, რომელშიაც უნდა მოხდეს ორშაბათის არჩევნები: ადვილად შესაძლებელია ჯგუფები დაიშალონ და საქმის სათავეში შემთხვევით არა სასურველი ელემენტები მოჰყვნენ. ჯგუფების დაქსაქსვა რომ მოსალოდნელია, ამას ამტკიცებს ახალ-ახალი კანდიდატების წამოყენებაც. ჩვენი ბათუმელი კორრესპონდენტი (იხ. ფელეტონი) გვაცნობებს, რომ სომხებს და რუსებსაც გამოჰყავთ თავიანთი კანდიდატები, ასე რომ უთუოდ ჰსურთ იერიში მიიტანონ გამგეობის დღევანდელ მოღვაწეებზე.

ჩვენის აზრით, ასეთი ტაქტიკა შემცდარი და საშიშია. როგორც ვთქვით, გამგეობის მოღვაწეობა, რომლის მთავარი მწარმოებელი უკანასკნელ დრომდე ბ. გრ. ვოლსკი იყო, პირნათელი და ენერგიულია; ხოლო ბათუმის თვით-მართველობა, ბ. პალმების მეოხებით, ისეთ კარგ მდგომარეობაში ვერ არის, ისე ვერა აქვს ზურგი გამაგრებული, რომ შემთხვევაზე საქმის მიგდება შეიძლებოდეს. ამიტომ ვურჩევთ სომეხ ხმოსანთა და მათ ბელადებს ბათუმში—გამჭრიახობა გამოიჩინონ, შოვინიზმის გულისთქმათ ნუ აჰყვებიან და მხარი დაუჭირონ ქართველ უმრავლესობას, რომელიც საკმაოდ ძლიერია ბათუმში და უნარი აქვს, როგორც საქმიანობისათვის, ისე თვითმართველობის დაცვისათვის ბ. ბ. პალმებისაგან. ხოლო ქართველ ხმოსანთა იმ უმცირესობას, რომელიც წარსულ საქალაქო არჩევნებზე გადუდგა უმრავლესობას, ვეტყვით შემდეგს: თუ იმათ ახლაც აჰყვნენ უაზრო და სრულიად უადგილო თავმოყვარეობას, თუ ახლაც დაიწყეს საშიში კინკლაობა და მით ქართველობას ძნელად მოპოვებული პოზიცია დაკარგვინეს, მათ სამარცხვინო საქციელს ვერარაფერი გაამართლებს მთელ ქართველობის თვალში.

საზღვარ-გარედ

ბალკანეთი. მაკედონიას ცეცხლი აქვს მოდებული და გერმანიის იმპერიის ელჩი იმის მეტს ვერას აზერხებს, რომ მიდის ბოლ-

ფელეტონი

ბათუმის საქმეები

ადგილობრივ საავადმყოფოს „ინციდენტი".—საბჭოში კამათი ამის გამო.—ხმ. გაიდებუროვის გულის წყრომა და გამგეობის წევრი ივანოვი.—მომავალი არჩევნები.—სომხებისა და რუსების შეერთება.—სომხების კანდიდატები.

ბედს რომ ჩვენის საბჭოსთვის ასეთი ხმოსნები არ მოეცა, როგორიც ბარაკოვსკი და და გაიდებუროვია, ჩვენ საავადმყოფოსთვის არ მოევლინა უფროსი ექიმი ფინკელშტეინი და ამ უკანასკნელისთვის აფანასიევის ქალი პეტრეს ქალაქიდან, შენი მტერი, ბათუმში ყოფნა მოსაწყენი იქნებოდა! ახლაკი ჩვენ ბედს ძაღლი არ დაჰყეფს: აღარც კონცერტი გვინდა, აღარც ცირკი, აღარც „ზვერინეცი".

ამ ჟამად ჩვენი სალაპარაკო საგანი ქალაქის საავადმყოფოა. ბრალიანი და უბრალო ყველა იქაურ „ინციდენტებზე" ლაპარაკობს. ყველა სცდილობს როგორმე თავის სასარგებლოდ გამოიყენოს ეს საქმე. როდესაც მათი სჯა-ბაასი გესმის, ან მათ ნაწერებს ჰკითხულობ (მაგ. „კავკაზ"-ში), უნებლიედ გაგონდება შჩედრინის „ტორჟესტვუიუშჩაია სვინია": „Такъ и ты, свинья, читаешь?" გინდა ჰკითხო მათ. უეჭველია, მკითხველს ეხსომება, რომ აფანასიევის ქალმა საჩივარი შეიტანა საბჭოს განსახილველად საავადმყოფოს უფროს ექიმზე: ოქტომბერში „მოწყალების დის" ადგილზე მომიწვია პეტერბურგიდან და ოთხის თვის შემდეგ დამითხოვა „კერძო დამოკიდებულების" გამო, თუმცა ჩემს სამსახურს კარგად ვასრულებდიო. ეს ქალი ახლა თხოულობს: ან ადგილი დამიბრუნეთ, ან ოთხი თვის ჯამაგირი მომეცითო.

ჯერ ეს საქმე არ გარჩეულიყო, რომ საავადმყოფოს ყველა ფელშერებმა და ფელ'შარმა ქალებმა საჩივარი მიართვეს ქალაქის გამგეობას, დაგვიფარეთ უფროსის ექიმის ლანძღვა-გინებისაგანაო. ამავე დროს ადგილობრივ „გაზეთის" შემწეობით ქვეყანას ამცნეს, რომ ბ-ნი ფილკენშტეინი მეტად მოურიდებლად გვექცევა და ავადმყოფებთან „მერზავეცსა" და „სვოლოჩს" გვეძახისო.

წასრულ ორშაბათს (10 მარტს) საბჭოს მორიგი კრება იყო დანიშნული. რვა საათი ჯერ არ შესრულებულიყო, რომ დარბაზი აივსო ხმოსნებით და გარეშე მაყურებლებით. გამეფდა ის ერთგვარი სიჩუმე, რომელიც მომასწავებელია ხოლმე, „დიდის სცენებისა". დაამტკიცეს წინა კრების ოქმი. ქალაქის თავის მოადგილემ, ბ-ნმა ვოლსკიმ, მოახსენა საბჭოს აფანასიევის ქალის საჩივარი. თუმცა ამ საჩივრის განხილვა გამგეობის კომპეტენციას შეადგენს, მაგრამ საყვედურის თავიდან ასაცილებლად მაინც მოგახსენეთ, მით უმეტეს, რომ იგი საბჭოს სახელზეა დაწერილიო. მაგრამ, დასძინა ბ-ნმა ვოლსკიმ, ჩემის აზრით, უმჯობესი იქნება, ეს საკითხი სიიდან ამოვშალოთ და გამგეობას მივანდოთ მისი გადაწყვეტაო.

„ოპპოზიციამ" ბ-ნ გაიდებუროვის პირით მოითხოვა, კომისია დავნიშნოთ და მივანდოთ საქმის გამოძიებაო. საავადმყოფო საზოგადოებრივი დაწესებულებაა, საქმე იქ კარგად ვერ მიდის და საჭიროა ყველაფერი გამოქვეყნდესო.

იქმნება მკითხველმა არ იცის, რომ ბატონი გაიდებუროვი გზათა ინჟინერი გახლავთ. „მეტი სინათლე", აი მისი დევიზი. მაგრამ... „timeo danaos"... ბ-ნ გაიდებუროვს კვერი დაუკრა იმისმა ერთგულმა დამქაშმა ბარაკოვსკიმ. ტყუილად ხომ არა სხედან ერთად! ეს ხმოსანი ჯერ კიდევ ვერ შესჩვევია თავის ახალ როლს და „გრაჟდანსკი სლოგით" ლაპარაკი მეტად უჭირს. „აფანასიევის ქალის და ფელშერების წერილებიდან ვხედავ, რომ საავადმყოფოში ურიგოება ხდება; „და მოწყალებისა" მუდამ ავადმყოფთან არის, წამალს ასმევს, აჭმევს (кормежку даетъ), რაღა მოეთხოვება, თუ მას ასეთი ისტორიებით ნერვებს აუშლიან. საჭიროა უფროს ექიმს დისციპლინა შევასმინოთ და უმცროსებიც „подтянуть"-ო.

თავმჯდომარემ სთხოვა, ნუ დაუკავშირებთ აფანასიევის ქალის საჩივარს ფელშერების საჩივარსაო. უკანასკნელს თვით გამგეობა გაარჩევს და თავის დროზე მოგახსენებთ. რაც შეეხება კომისიას, რა უნდა გააკეთოს ამ კომისიამ? აფანასიევის ქალი, რაც საჩივარშია ნათქვამი, იმაზე მეტს არას იტყვის „კერძო დამოკიდებულების" შესახებ და ამგვარად კომისიას განსახილველი ობიექტი არ ექნებაო. ამ ისტორიის გამოკვლევას არაფერი ინტერესი აქვს, ვნება კი ცხადია: უფროს ექიმის პრესტიჟს დაამცირებს, თუმცა მე დარწმუნებული ვარ, რომ საქმის გამორკვევა ბ-ნ ფინკელშტეინის სასარგებლო იქნებაო.

ხმოსანმა ხუდადოვმა სთქვა: ამის გარჩევა საბჭოს საქმე არ არის; ჩვენ რომ ყველა ასეთი საჩივრები ვარჩიოთ, მთელი წელიწადი მარტო ამას მოვუნდებითო.

ხმ. ჯაყელი. მე ჩემის მხრივ ვერ დავთანხმდები, რომ ეს ინციდენტი გამოურკვეველი დარჩეს. საჭიროა სწორე შეხედულობა ვი-

გარიის ეგზარხთან და სთხოვს, მოიხმარეთ თქვენი გავლენა და წესიერება დაამყარეთ მაკედონიაშიო. ასევე იქცევიან ევროპის სხვა სახელმწიფოების წარმომადგენლებიც. ხალხს სახლკარს უწვავენ, ცოლშვილს უუპატიურებენ, ჟლეტენ შეუბრალებლად და დიპლომატებს მის მეტი ვერა მოუხერხებიათ რა, რომ დაწყნარებისა და დამშვიდების რჩევას იძლევიან.

რისი იმედით უნდა დამშვიდდეს და დაწყნარდეს ხალხი, როცა განზრახულ კარიკატურა რეფორმის განხორციელების იმედიც-კი არ არის!

ის ხომ ვიცით, რომ ოსმალეთის მთავრობამ ალბანელებს მოციქულები გაუგზავნა: მაკედონიის სამ ოლქში რეფორმების შემოღება მინდა და თქვენ ხელს ნუ შემიშლითო. განა ეს დაცინვა არ არის უბედურ ხალხისა და იმ დიპლომატებისა, რომელთაც მართლა ჰსურთ მაკედონიის მდგომარეობის გაუმჯობესება, თუ კი არიან ასეთი დიპლომატები? არა, ოსმალეთის სულთანი თავის ქვეშევრდომებსა სთხოვს რეფორმების შემოღების ნებართვას!

ალბანელებმაც შეუთვალეს—არამც და არამც მაკედონიაში რეფორმები არ შემოიღოთო. ევროპის სახელმწიფოების წარმომადგენლებიც გაჩერებულან და უცდიან, როდის გათავდება ეს მეტად ახირებული მოლაპარაკება სულთანსა და მის ქვეშევრდომებს შორის. ამასობაში კი მაკედონიის მდგომარეობა უფრო-და-უფრო უარესი ხდება. აი სხვათა შორის რას იწერებიან იქიდან: „სულ მოკლე ხანში მაკედონია შეიქმნება ასპარეზად უსაშინელეს და სასოწარკვეთილ ბრძოლისა მტარვალებსა და დევნილებ შორის. ახლოვდება ისეთი კატასტროფა, როგორიც ევროპას დიდი ხანია არ უნახავს და ბალკანეთს კი არასოდეს. არასოდეს ამ დამონებულ მხარეში ხალხი არ ყოფილა ასე აღელვებული და აღშფოთებული. გამოცხადებული რეფორმა ვერ დააკმაყოფილებს (ეს გამოცხადებული რეფორმაც რომ ჯერ მარტო გამოცხადებულია!) ხალხის მოთხოვნილებას. აი რატომ არის, რომ მაკედონია ივსო აჯანყებულთა რაზმებით“.

ერთი გაზეთი სასიამოვნო ამბავს იტყობინება მონასტირიდან, თუ მართალია: მღელვარება ძლიერდება და მაჰმადიანთა მტარვალობამ შეაერთა ბოლგარელები და ბერძნები, რომ შეერთებულის ძალით პასუხი გასცენ საზოგადო მტერს.

ინგლისი. დიდი ხანია ელოდნენ მთავრობისაგან ირლანდიისათვის აგრარულ კანონ-პროექტის წარმოდგენას და ამ დღეებში ირლანდიის საქმეთა მინისტრმა უინდგემმა წარმოადგინა კიდეც. პალატა გაჭედილი იყო. პროექტს მინისტრმა სიტყვა წარუმძღვარა: ინგლისის სასოფლო-მეურნეობა და ირლანდიისა სულ სხვა-და-სხვაა და ამიტომ ირლანდია საგანგებო აგრარულ კანონს საჭიროებსო. სასოფლო-მეურნეობის დაცემის მიზეზით ირლანდიაში შევიწროებულია მცხოვრებთა ყოველი კლასი; მთავრობის მოვალეობაა—შეუმსუბუქოს მათ ეს სოციალური გაჭირვება განსაკუთრებით მაშინ, როდესაც მთელ ირლანდიას ჰსურს აგრარულ მშვიდობიანობის მტკიცე საძირკველი იქმნეს ჩადებული“. წარმოდგენილ პროექტის დედა აზრი ის არის, რომ ირლანდიელ ფერმერს შეძლება უნდა მიეცეს საკუთრებად შეიძინოს ის ადგილი, რომელიც ეხლა იჯარით აქვს აღებული ინგლისელ მემამულისაგან. ამისათვის სახელმწიფო მისცემს ფერმერებს სესხს; ამ ოპერაციისათვის საჭირო ფული უნდა იშოვოს მთავრობამ $2\,^3/_4$ პროცენტიან უზრუნველყოფილ სესხით; პირველ სამ წელს გამოიცემა წლიურად 5 მილიონ გირვანქა სტერლინგის გამოსასყიდველი ფურცელი. მინისტრის აზრით მთელ ადგილ-მამულის შესყიდვას მოუნდება 100 მილიონი გირვანქა სტერლინგი. გამოსასყიდველი თანხა უნდა დააბრუნოს ფერმერმა $68\,^1/_2$ წლის განმავლობაში. მთელი ოპერაციის შესამსუბუქებლად მთავრობა წინადადებას იძლევა, რომ სახელმწიფომ თავის მხრივ 12 მილიონი გირვანქა სტერლინგი სუბსიდია გაიღოს ფერმერებისათვის, მაგრამ იმ პირობით-კი, რომ წლიური დახმარება არ აღემატოს 390 ათას გირვანქა სტერლინგს. საქმის წარმოების თვალყურის მდებელი იქმნება სამი სახელმწიფო კომისარი. რადგან შესაძლებელია, რომ ფულიანმა ხალხმა ბევრი ადგილი შეიძინოს ერთად და ღარიბები-კი დარჩნენ პირში ჩალა გამოვლებული, პროექტში რამდენიმე მუხლია შეტანილი ასეთ მოსალოდნელ შემთხვევების წინააღმდეგ.

პროექტის უმთავრეს მუხლების წაკითხვის შემდეგ მინისტრმა დაუმატა, რომ მთავრობამ, რაც შეეძლო, ყველაფერი მოიმოქმედა, რომ შეაჩეროს ირლანდიელების გადასახლება სამშობლოდან... ქვეყანამ ორის გზიდან ერთი უნდა აირჩიოს—ან განაგრძოს ირლანდიის ტრაგედია კიდევ 150 წლის განმავლობაში, ან და დაადგეს შერიგების გზას, რომელსაც 15 წელიწადი მოუნდება და რომელიც დამყარებული უნდა იყოს დაინტერესებულ პირების პატიოსნებაზე და კეთილ ნებაზე. მხოლოდ სააღგილმამულო კითხვის გადაწყვეტას შეუძლია დაამყაროს ირლანდიაში სოციალური შერიგებაო, გაათავა მინისტრმა სიტყვა.

სულ ორი წელიწადი არ არის მას შემდეგ, რაც იგივე მთავრობა, რომელიც დღეს აგრარიულ კითხვის გადაწყვეტას სთვლის აუცილებელ საჭიროებად, გაცხარებით ამტკიცებდა—სულ აგიტატორების და გაზეთების შეთხზულია ირლანდიის გაჭირვება და ისინია, რომ ხალხს აჯანყებენო: ვინ იყო ის კეთილი ანგელოზი, რომ კონსერვატიულ სამინისტროს ასე რადიკალურად შეაცვლევინა აზრი და პოლიტიკა? თვითონ ირლანდიის ხალხი, და სხვა არვინ, მაგრამ კეთილ ანგელოზის სახით კი არა, არამედ მედგარ და გამოცდილ მებრძოლის სახით.

მინისტრის შემდეგ ულაპარაკნია ირლანდიელ ნაციონალისტების მეთაურს რედმონდ და გამოუცხადებია, რომ ჯერ არ გამოსთქვამს საზოგადოთ თავის აზრს წარმოდგენილ ბილზე; თუმცა უნდა გამოტყდეს, რომ ეს პროექტი დიდი ნაბიჯია წინ წინანდელ ზომებთან შედარებით და მოწმობს, რომ მთავრობას ნამდვილად ჰსურს კითხვის გადაწყვეტა. თუ ირლანდიის ერი დარწმუნდება, რომ ბილი მართლა სააღგილმამულო კითხვის გადაწყვეტის იმედს იძლევა, დიდის სიხარულით მიიღებს მას.

კიდევ რამდენიმე ორატორს ელაპარაკნა და შემდეგ ბილი მიღებულ იქნა პირველად.

ახალი ამბავი

◆ 17 მარტს კრება ჰქონდა სიონის ტაძართან არსებულ **საეკლესიო სიძველეთა საცავის** კომიტეტს. კრებაზე ლაპარაკი ჩამოვარდა მუზეუმისათვის საკუთარ შენობის აგების შესახებ. ეს საქმე გადაუწყვეტელი დარჩა, რადგან ამბობენ, მუზეუმი ვერაზე უნდა გადაიტანონ სასულიერო სემინარიისთვის განზრახულ შენობაში. ამავე კრებაზე კომიტეტის წევრად არჩეულ იქმნა დეკანოზი ელიაშვილი.

◆ „ნოვ. ობ“-ს საინტერესო ამბავს ატყობინებენ ქუთაისიდან. როგორც პეტერბურგიდან უცნობებიათ, გზათა სამინისტრო თანაგრძნობით მიჰგებებია საკითხს რკინის გზის **მეორე ლიანდაგის** გაყვანის შესახებ. ამ ლიანდაგმა, როგორც ვუწყით, ქუთაისზე უნდა გაიაროს. ამ ამბის მიღებისთანავე ქალაქის მოურავის მოადგილე გ. ი. გველესიანი ტფილისს წამოსულა რკინის გზის გამგეობასთან მოსალაპარაკებლად.

◆ 19 მარტს ტფილისიდან ბაქოს წავიდა საერო განათლების **სამინისტროს საბჭოს წევრი** თავ. გოლიცინი. ტფილისში ყოფნის დროს თავ. გოლიცინმა დაათვალიერა ვაჟთა და ქალთა გიმნაზიები.

◆ ტფილისში ყოფილა 35 **სამრევლო საეკლესიო სკოლა**, სადაც 1660 მოსწავლე სწავლობს. ამ სკოლების შესანახად საჭიროა 14 ათასი მანეთი. სასულიერო მთავრობამ მიჰმართა ტფილისის ქალაქის საბჭოს და სთხოვა შემწეობა 3500 მანეთითა.

◆ როგორც გავიგეთ, **ბათუმში** ერთ წრეს განუზრახავს საპროფესიონალო სკოლის დაარსება.

◆ როგორც ჩვენმა მკითხველებმა იციან, ქალაქის გამგეობა და ტრამვაის უსახელო საზოგადოება ვერ მორიგდნენ **საჰიდრავლიკო სადგურის** აგების საქმეში. ეხლა გამგეობას განუზრახავს, ამ საქმის გამო საბჭოს ხმოსანთა კერძო კრება დანიშნოს. კრება განიხილავს როგორც საზოგადოების მოხსენებას, ისე გამგეობის აზრს.

◆ ტფილისის გუბერნიის **სახელმწიფო ქონებათა** ახალი გამგე ბ-ნი ზელენინი შეუდგა თანამდებობის ასრულებას.

◆ გუშინ, 21 მარტს, **პეტერბურგიდან ტფილისს ჩამოვიდა** ბათუმის ქალაქის მოურავი თავ. ი. ზ. ანდრონიკაშვილი.

◆ ტფილისის ქალაქის გამგეობამ სხვა და სხვა ქალაქებს შეეკითხა იმის გასაგებად, რა წესებია იქ **კვირა-უქმეობით დასვენების** შესახებ საპარიკმახეროებისა და სადალაქოების მომუშავეთათვის. პასუხი გამოჰგზავნეს კიევისა, ხარკოვისა და სხვა ქალაქების გამგეობებმა. ხარკოვში კვირა უქმეობით საპარიკმახეროები და სადალაქოები დაკეტილი ყოფილა დილის 9-დან ნაშუადღევის 3 საათამდე, კიევში არავითარი წესი არა ყოფილა, ხოლო ოდესაში დაკეტილია კვირაობით ნაშუადღევის 3-დან, ხოლო დღესასწაულებში—საღამოს 8 საათიდან. ქალაქის გამგეობას განუზრახავს ტფილისშიაც შემოიღოს კვირა უქმეობით დასვენება.

◆ 20 მარტს **კრება ჰქონდა** კავკასიის საგეოგრაფიო საზოგადოებას. კ. ფ. განმა ამ კრებაზე წაიკითხა მოხსენება დაღესტნის ოლქის სამურისა და ანდიის ადგილების მდებარეობისა, იქ მცხოვრებთა ზნე-ჩვეულებისა და სხვა და სხვა მადნების შესახებ.

◆ გუშინ მეორედ **მოსწერა გუბერნატორმა** ქალაქის მოურავს, შემატყობინეთ, რა ფულის გადადება შეუძლიან ქალაქს დიდ მთავრინას ოლგა თეოდორეს ასულის ძეგლის დასადგმელადაო. შინაგან საქმეთა სამინისტროს ხელმეორედ მოუთხოვნია გუბერნატორისათვის ეს ცნობები.

◆ როგორც გავიგეთ, კავკასიის გზათა ოლქის გამგეობა შავის ზღვის პირის გუბერნიაში ახალ **გზების გასაყვანად** და ძველის შესაკეთებლად თხოულობს 200,000 მანეთს.

◆ გუშინ ტფილისის ქალაქის გამგეობამ **მოწერილობა მიიღო გუბერნატორისაგან**; ატყობინებს, რაც შეიძლება, დააჩქარეთ ამ ინსტრუქციებისა და წესების გადათვალიერება, რომლებითაც ქალაქის დაწესებულებანი ხელმძღვანელობენო.

◆ გუშინ, 21 მარტს, გუბერნატორმა მისწერა ტფილისის ქალაქის გამგეობას, რაც შეიძლება მალე შეუდექით საბჭოს იმ გარდაწყვეტილების განხორციელებას, რომელიც შეეხება რუსის მცხოვრებთა დაცვას მოსალოდნელ **წყალ დიდობისაგანაო**.

◆ გუშინ, 21 მარტს, ტფილისის საგუბერნიო ექიმი ბ. ტ. ქიქოძე თანაშემწეს რ. დ. მაჰავარიანთან ერთად გაემგზავრა მარტყოფში. აქედან იგი სიღნაღის მაზრაში წავა იქაურ **სასოფლო სამკურნალოს სარევიზიოდ**.

◆ მეტად საინტერესო ამბავს გადმოგვცემს „კავკაზი“. ტფილისში არსებობს პასტერის სამკურნალო. ამას წინად ამ სამკურნალოში ოპერაციისთვის მიუყვანიათ პოლიციის მოხელის ბერძის ძაღლი. ძაღლს ფეხზე ხორცმეტი ჰქონია და იმის მოჭრა უთქვიათ საჭირო. ექიმებს მოუჭრიათ ხორცმეტი, ფეხი შეუხვევიათ: ძაღლი რამდენისამე დღით სამკურნალოში დაუტოვებიათ და შემდეგ პატრონისთვის ჩაუბარებიათ. სამკურნალოს მოსამსახურენი საშინლად გაოცებულან, როდესაც რამდენისამე დღის შემდეგ ძაღლი მარტოდ-მარტო მისულა სამკურნალოში და საოპერაციო სტოლზე შემხტარა, კიდევ გამიკეთეთ ოპერაციაო. გაუსინჯნიათ ჭრილობა და უნახავთ,

---

ქონიოთ საქმეზე. აფანასიევის ქალი თვით ფინკელშტეინმა დაიბარა პეტერბურგიდან; უეჭველია, კარგად იცნობდა იმას, როგორც კეთილ-სინიდისიერს და გამოცდილ „დას“. მაშ როგორ მოხდა, რომ ორ თვეში ისე გამოიცვალა, რომ სრულიად უვარგისი გახდა, როგორც ახლა ბ-ნი ფინკელშტეინი ამტკიცებს. რაც შეეხება საბჭოს უფლებას, მე მგონია, საბჭოს აქვს უფლება თავისს თავზე მიიღოს ამ საქმის გამორკვევა, რადგან საბჭო ზნეობრივად პასუხის მგებელია ისეთ საზოგადო საქმის კეთილად მოწყობისთვისს როგორიც ქალაქის მიერ აშენებული საავადმყოფოა.

ამის შემდეგ ილაპარაკა რამდენსამე ხმოსანმა და გაიდებუროვმა კვლავ მოითხოვა კომისია. ხოლო ხმოსანმა წერეთელმა მოინდომა „უფრო შორს წასვლა“, (იგი ყოველთვის ძალიან „შორს“ მიდის ხოლმე!) და მოითხოვა მუდმივ კომისიის დანიშვნა, რომელმაც თვალ-ყური უნდა ადევნოს საავადმყოფოს მოქმედებას. თავმჯდომარემ შენიშნა, რომ ეგ საკითხი სიაში მოხსენებული არ არის და მსჯელობს ვერ ვიქონიებთო.

ხმ. ქიქოძის აზრი უფრო პრაქტიკული იყო და უკეთ სჭრიდა საკითხს, მაგრამ საბჭომ არ მიიღო. ქიქოძე ითხოვდა, მივანდოთ თვით გამგეობას, საქმე დაწვრილებით გამოიძიოს და საბჭოს მოახსენოს; კომისია საჭირო არ არისო.

ბევრი ლაპარაკის შემდეგ დაასახელეს კომისიის წევრებად: ბარაკოვსკი, გაიდებუროვი, წერეთელი, ჯაყელი, დიმიტრიადი. აირჩიეს ყველა, პირველის გარდა.

არ ვიცით, რას გამოარკვევს კომისია, ის კი ცხადია, რომ ბ-ნი ფინკელშტეინის უტაქტო და შეუფერებელმა ქცევამ დღევანდელ გამგეობას მეტად ცუდი საქმე მოახვია თავზე და მასალა მისცა ზოგიერთ ვაჟბატონებს კვლავ დაემტკიცებინათ თავიანთი სიწვრილმანე და ჭორიკანობა. თქმა არ უნდა, ზოგს გულწრფელად ჰსურს, რომ სიმართლე გამოირკვეს და უბრალოდ არ დაიჩაგროს მათი ადამიანური ღირსება და პიროვნება, ვისიც ბედი ბ-ნ ფინკელშტეინის ხელშია. საუბედუროდ, თვით დაინტერესებულმა პირებმა ისეთ სახელ-გატეხილ ორგანოს მიმართეს, როგორიც „ჩერნ. ვესტნიკია“, პრინციპიალური მომხრე ყოველგვარ დაჩაგვრისა. იმავე სურათს ვხედავთ საბჭოშიც: გულწრფელი მსურველი სიმართლის აღდგენისა, მაგ., ბ-ნი ჯაყელი, უნებლიეთ მოკავშირე და წევრი ხდება იმ „ოპოზიციისა“, რომლისთვისაც სიმართლე მხოლოდ ნიღაბია, ნამდვილი აზრი კი—ახლანდელ გამგეობის დამცირება, მისი სახელის გატეხაა. ასეთ აბნეულ საქმეში თვით „ეშმაკიც ფეხს მოიტეხს“.

მეორე საკითხი შეეხებოდა სარევიზიო და ალმშენებელ კომისიების წევრთა არჩევას, რადგან ხმ. თარუმოვმა უარი განაცხადა დროს უქონლობისა გამო სარევიზიო კომისიაში მონაწილეობაზე. ალმშენებელ კომისიის თავმჯდომარემ გაიდებუროვმა კი სრულებით სხვა მიზეზის გამო სთქვა უარი. ეს გახლავთ მეორე ინციდენტი, რომელმაც დიდი ალიაქოთი ასტეხა საბჭოში. რასაკვირველია, თვით ბ-ნ გაიდებუროვს შეეკითხნენ, რა იყო მიზეზი თქვენის უარისაო. იმან წაიკითხა წინდაწინვე მომზადებული პასუხი. ქალაქის გამგეობაში ისეთი წეს-რიგი გამეფებულა, რომ მე არ შემეძლო ალმშენებელ კომისიის თავმჯდომარედ დავრჩენილიყავ. საქალებო გიმნაზიის შენობის მოიჯარადრემ გამგეობას ქაღალდი მისცა ხარჯთ-აღრიცხვაში შეცდომაა, 7000 მანეთი არ არის ნაჩვენებიო. გამგეობამ ეს საკითხი ალმშენებელ კომისიას გადასცა, რომელმაც კიდეც განიხილა. მე შევადგინე ოქმი ჩვენის სხდომისა და გადავეცი წევრებს ხელის მოსაწერად. წევრებმა მოაწერეს ხელი და დამიბრუნეს შეუცვლელად. ეს ოქმი გადავეცი გამგეობას, მაგრამ არ გასულა რამდენიმე დღე და იგივე ოქმი მომივიდა ქალაქის მდივნის წერილთან ერთად, რომელიც მატყობინებდა, რომ კომისიის წევრებმა პანასევიჩმა და საზონოვმა ოქმს მიუმატეს თავისი აზრიო. მოიჯარადრის მიერ აღძრულ საკითხს ტეხნიკური ხასიათი არა აქვს, მხოლოდ იურიდიულია და მხოლოდ იურისტმა უნდა გადასწყვიტოსო. როგორ, რა უფლებისა და საფუძვლის ძალით ჩაუვარდათ ხელში ეს ოქმი ხმოსნებს, მე ვერ გამიგია. რაკი ოქმს ხელი მოაწერეს, მისი შეცვლის ნება არავის უნდა ჰქონოდა. ამგვარი მდგომარეობა მე ნორმალური არა მგონია და საჭიროა განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს. მეორეც ესა, რამდენიმე ოქმი ალმშენებელ კომისიისა გამგეობას გადავეცით, მაგრამ აუსრულებელი დასტოვეს. მაშ რაღა საჭიროა ალმშენებელ კომისიის შრომა? აი სწორედ ამიტომ ვსთქვი უარი ამ კომისიის თავმჯდომარეობაზეო.

თავმჯდომარემ სამართლიანად შენიშნა, არაფერი ანორმალური არაა ის, რომ ხელმოწერილი ოქმი მდივანმა კომისიის წევრებს გადასცა მათის თხოვნისამებრ, რადგან ბ-ნთ პანასევიჩს და საზონოვს სრული უფლება აქვთ მოითხოვონ ამგვარი დოკუმენტები და მდივანი მოვალეა აასრულოს იმათი თხოვნა. თუ ამ წევრებმა წააწერეს რამე, ამაში მდივანი არც დამნაშავეა და არც პასუხის მგებელი. როცა ალმშენებელი კომისია ამ კითხვას არჩევდა, პანასევიჩმა და საზონოვმა მაშინვე ის აზრი გამოსთქვეს, რომ იურისტს

რომ იგი მტერით გავსილა და დაჩირქებულა. გაუწმენდიათ და ხელ-ახლა შეუხვევიათ. შეხვევის შემდეგ ძაღლი იქვე აპირებდა დარჩენას, როგორც შორეულად, მაგრამ ნება არ მიუციათ. ამ დღიდან დაწყებული ჭკვიანი ძაღლი თავის თავად საავადმყოფოს ეწვევა ხოლმე ფეხის შესახვევად ყოველ ორის დღის შემდეგ. ამასთან ძაღლი სწორედ იმ დროს მიდის, როდესაც ავადმყოფ პირუტყვს იღებენ გასასინჯად.

◆ ტფილისის საპროფესიონალო სკოლის უფროსმა ქალმა სთხოვა ქალაქის გამგეობას იზრუნოს და დროზე იშოვნოს ახალი სადგომი სკოლისათვის, რადგან ძველის სადგომის ვადა აგვისტოში თავდება.

◆ მიწათ-მოქმედების მინისტრის რწმუნებულმა კავკასიაში ბ-ნმა მედვედევმა სთხოვა გამგეობას დაჩქაროს ახალის ნიხრის დანიშნვა მეეტლეებისათვის ბოტანიკურ ბაღის ახალ ადგილდებამდე (კოჯრის მხრიდან).

◆ დღეს, 22 მარტს, სამოსამართლო პალატაში დანიშნულია საქმე ერევნის პეტრე-პავლეს ტაძრის დეკანოზის ლაზარე ალექსის ძე ტურიაშვილისა და ყაზახის ქალის ანასტასია ვორობცოვისა, რომელთაგან ვორობცოვისას ქმრის სიცოცხლის დროს მეორედ გათხოვება ჰბრალდება, ხოლო ტურიაშვილს ჯვარის დაწერა.

◆ პოლიციის მე-10 ნაწილში მუშტაიდს ახლო, ცხენის რკინის გზის ვაგონში შორაპნის მაზრის მცხოვრებ სტეფანე ქავთარაძისათვის ჯიბგირებს ამოუცლიათ 400 მან. პოლიციელი მაშინვე გამოსდევნებია ქურდებს და ერთი მათგანი, ტფილისის მოქალაქე გარსევან მინასოვი დაუპატიმრებია.

◆ გუშინ, ვერის აღმართზე, მებურნუთოვის სახლში, თავი მოიკლა ინჟენერის შტერნის შვილმა.

რუსეთის ქრონიკა

◆ „პრავ. ვესტ." ში დაბეჭდილია: „9 მარტს, ქალაქ ზლატოუსტში, უფის გუბერნიაში, რკინისა და რელსების მკეთებელ ქარხანაში ერთის ამქრის მუშებმა, რიცხვით 160 კაცმა, აღარ მიიღეს ანგარიშის წიგნაკები და განაცხადეს, 10-დან მუშაობაზე ხელს ვიღებთო. 9 მარტს მუშებს თავი კარგად ეჭირათ, მაგრამ 10 მარტს მოედანზე შეიკრიბა 500-მდე კაცი, რომელთაც განაცხადეს, თანახმანი არა ვართ მუშაობის ახალ პირობებზედაო. რადგანაც უწესობანი იყო მოსალოდნელი, უფის გუბერნატორი ბოგდანოვიჩი, უფის სასამართლოს ბრალმდებელი და ჟანდარმთა საგუბერნიო გამგეობის უფროსი პოლკოვნიკი შატოვი უფიდან ზლატოუსტს წავიდნენ. 13 მარტს თავ-მოყრილი მუშები თხოულობდნენ სამ დაპატიმრებულ მუშის განთავისუფლებას. მუშები შემოერტყნენ საპოლიციო გამგეობას, როტმისტრის დოლგოვის სადგომს და მთა-მადნის უფროსის სახლს, სადაც ფანჯრები ჩაამტვრიეს. ბევრი რჩევა-დარიგების შემდეგ, როდესაც ბრბომ ძალა იხმარა, ბრალმდებელი სატუსაღოში არ შეუშვა და გუბერნატორთან ერთად შევარდა მთა-მადნის უფროსის სახლში, გუბერნატორმა უბრძანა ბატალიონის უფროსს, იარაღი ეხმარა. ხალხი სახლში იწევდა და რევოლვერებს ისროდა, რომლის დროსაც მსუბუქად დასჭრეს ისპრავნიკის თანაშემწე და ჟანდარმთა უნტერ-ოფიცერი. როდესაც ჯარმა თოფები გაისროლა, ბრბო გაიფანტა. სადაც ხალხი იყო, იმ ადგილას მოკლული აღმოჩნდა 28 კაცი, დაჭრილი 50 კაცზე მეტი. 14 მარტს ყველა ამქრებმა მუშაობა განაახლეს."

◆ ამ ზაფხულს რუსეთიდან მრავალი სოფლის მეურნე აპირობს დანიაში წასვლას იქაურ მეურნეობის გასაცნობად. გეგმა მგზავრობისა უკვე შეიმუშავეს. მეურნენი უნდა შეიკრიბნენ პეტერბურგში. წასვლამდე 25 მაისს ჩრდილოეთის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების თავმჯდომარის ბ-ნ ქალანთარის ხელ-მძღვანელობით გაიმართება საუბარი მომავალ მგზავრობის შესახებ. პეტერბურგიდან მეურნენი გავლენ 25 მაისს. დანიაში ექსკურსანტებმა უნდა დაიარონ სოფლები, დაბები და შესანიშნავი მამულები. ეს მგზავრობა თითო მეურნეს დაუჯდება 350 მანეთად. ყველას შეუძლიან ამ მგზავრობაში მონაწილეობის მიღება.

◆ ამ ჟამად ფინანსთა სამინისტროსთან მუშაობს განსაკუთრებული კომისია. კომისიის მინდობილი აქვს ისეთ საგნების განხილვა, როგორიც, მაგალითად, მუშათა მდგომარეობის გაუმჯობესება, სამუშაო ფასის მომატება და მუშების დაზღვევაა. ამ კომისიის ნამუშავარს გამოაქვეყნებენ მხოლოდ მაშინ, როდესაც საქმეს განიხილავს და გადასწყვეტს სათანადო მთავრობა.

◆ 15 მარტს პეტერბურგში „ნოვოე ვრემი"-ას რედაქტორს ბულგაკოვს, ეტლით მიმავალს, თავს დასცემიან ამ გაზეთის თანამშრომლებად ნამყოფნი ჩერმანი, მაიკოვი და ერთი კიდევ სხვა. პოლიციას სამივენი დაუპატიმრებია და ოქმი შეუდგენია. ბულგაკოვისთვის მოქმედებით შეურაცხყოფა მიუყენებიათ.

თეატრი

ქართული წარმოდგენა. როგორც იყო, ჩვენმა თეატრმა მოიგონა იბსენი და მის დაბადების 75 წლის თავზე წარმოადგინა „ნორა".

წარმოდგენის დაწყებამდე რეჟისორმა ბ. ვ. გუნიამ იბსენის ბიუსტის წინაშე მოკლედ გააცნო საზოგადოებას გამოჩენილის დრამატურგის ცხოვრება და ვინაობა. ჩვენ ვერ დავეთანხმებით პატივცემულის რეჟისორის დახასიათებას: იბსენი არ ამბობდა, სიმართლით ცხოვრება შეუძლებელიაო, პირიქით მუდამ იმას თხოულობდა, რომ ცხოვრება მხოლოდ სიმართლეზე უნდა იყოს აგებული, უამისოდ ცხოვრება არც არის ცხოვრებაო. იბსენი არაა პესსიმისტი; მართალია მას სძაგს თანამედროვე საზოგადოება, მაგრამ სამაგიეროდ ყმაწვილურის გატაცებით შეჰყურებს უკეთესს მომავალს.

დაწვრილებით ჩვენ აქ არ შევეხებით დრამას, სხვა ალაგას გავარჩევთ მას. მხოლოდ უნდა ვსთქვათ, რომ ქართულ სცენაზე იბსენის პიესა უფრო საინტერესო გამოვიდა, ვიდრე მოველოდით. „ნორაში" ბევრი თეორეტიული მსჯელობაა და თხოულობს განვითარებულს მაყურებელს. ცოტა მოსაწყენი იყო პირველ მოქმედების დასაწყისი, მაგრამ ინტერესი თანდათან გაიზარდა მას შემდეგ, ნორა რომ გაიგებს, თუ რა საქმე ჩაიდინა და რა განსაცდელი მოელის. ნორას მყუდრო ცხოვრება დაირღვა და მაყურებელი უნებლიეთ გატაცებულია მისის მღელვარებით და მწარე ფიქრებით. სცენაზე, მართალია, არ არის შეტაკება, ბრძოლა, ჩხუბი, საშინელი სცენები, არ არის გარეგანი მოქმედება, მაგრამ არის სულიერი მოძრაობა. იშვიათი ტრაგედია სულისა, რომელიც თანდათან გადაიქმნება, ნორა იყო ბედნიერი მით, რომ შეუგნებლად ცხოვრებდა, და შეიქნება შეგნებული უბედურების გამო.

ტყუილად გაურბიან ჩვენი არტისტები იბსენს. პიესა საზოგადოდ არა ურიგოდ და მწყობრად იყო წარმოდგენილი. ბ. სვიმონიძის როლი არ არის რობერტ ჰელმერი, მაგრამ არტისტმა შეიძლო მიახლოვებოდა ჰელმერის ბუნებას. ნორას თამაშობდა ქ-ნი ნ. ჩხეიძე. ასეთი ძნელი როლის შესრულება ძლიერ ნიჭსაც მოითხოვს და გამოცდილებასაც; ნორა მეტად ნაზი არსებაა და ხშირად მისი მდუმარება უფრო მეტს უნდა გვეუბნებოდეს, ვიდრე ბევრი ყვირილი და შესაზარი სცენები. ვერ ვიტყვით, რომ ქ. ჩხეიძე უნაკლულო ნორა ყოფილიყოს. ვერც მოვთხოვთ იმას, რაც ეძნელებათ ევროპის პირველხარისხოვან მოთამაშეებს. კარგად ჩაატარა მსახიობმა ის ადგილი, როდესაც გიუტნერი ვექსილის ამბავს მოაგონებს და ეუბნება. ქ-ნ. ჩხეიძეს—ნორას თავი სულ ახალმა ფიქრებმა შეიპყრეს და გაიტაცეს შორს. უკეთესად გამოუვიდოდა ქ-ნ ჩხეიძეს ეს სცენა, რომ ნელა გამოეთქვა თავისი ფიქრები და სხვა-და-სხვა აზრებს უფრო ჩაჰკვირებოდა და დიდხანს შეჩერებულიყო უსიტყვოდ. ასეთის დაკვირვებით გაატარა მეორე მოქმედებაც. საუკეთესო იყო მისი თამაში, როდესაც უცბად, მაგრამ აშკარად დაინახავს, თუ რა ადამიანიც ბრძანებულა მისი ქმარი. აღტაცებაში მოიყვანდა ყველას აქ ქ-ნ ჩხეიძის გაკვირვებული, გაოცებული და მასთან დიდ კითხვის ნიშნად გადაქცეული სახე: ნუ თუ ეს ყველაფერი შესაძლებელიაო. შესაძლებელი ყოფილა, მაგრამ ნორა არ ეცემა სულით, პირიქით იმდენს ძალას მოიპოვებს, რომელიც არ ჰქონია არასოდეს. უკანასკნელი სცენა ვერ გამოუვიდა ქ-ნ ჩხეიძეს ჯეროვანად. მისს სიტყვებს აკლდა ის მტკიცე ძალა, რომლითაც გამჭვალულია ახალი ნორა.

ვიმეორებთ, უსაფუძვლოდ ეშინიანთ ჩვენს აქტიორებს იბსენის პიესებისა. ორჯერ უკეთესს შთაბეჭდილებას მოახდენენ საზოგადოებაზე, თუ უფრო შეისწავლიან და დაუკვირდებიან „ნორას". იბსენის პიესები უჩვევია ჩვენებურ მაყურებლებისათვის, მაგრამ შეიძლება ამ დაბრკოლების დაძლევა თანდა-თან. იმედია, გაისათ მაინც არა ერთხელ დავინახავთ იბსენს ჩვენს სცენაზე.

თეატრი მთლად გაჭედილი იყო მაყურებლებით. ქ. ჩხეიძეს მიეგებენ მილოცვის ბაბარა წერილით.

გ.

—

დღეისთვის ტფილისის საარტისტო საზოგადოების დარბაზში დანიშნულია კონცერტი. ამ კონცერტს ჰმართავს მომღერალთა გუნდი ბ. ზ. ფალიაშვილის დირიჟორობით. გუნდი შეასრულებს ქართულ-რუსულ სიმღერებს. მონაწილეობას იღებენ აგრეთვე ქ-ნნი ბაბაიანი, აიზენშტადტი; ბ-ნნი ბროჯი, ვილშაუ, გასოვი და სხვანი.

წერილი სოხუმიდან

საურთიერთო ბანკის წევრთა კრება

16 მარტს აქაურ კლუბის დარბაზში „სოხუმის საზოგადოების საურთიერთო ბანკის" წევრთა კრება მოხდა. განსახილველი იყო მოხსენება საბჭოსი და სარევიზიო კომისიისა, 1902 წლის ანგარიში, ხარჯთ-აღრიცხვა და არჩევანი. თავმჯდომარედ აარჩიეს სოხუმის ოლქის უფროსი ბ-ნი პროკულბიცკი. როგორც ანგარიშებიდან აღმოჩნდა, ბანკს 1902 წელს წმინდა მოგება 2,000 მანეთზე მეტი დარჩენია და საზოგადოდ საქმეები კარგად წასულა წინა წლებთან შედარებით. ეს 2,000 მან. წმინდა მოგება კრებამ ერთხმად სათადარიგო თანხას მიუმატა. შემდეგ თავმჯდომარემ მოახსენა კრებას, კიდევ არის დარჩენილი განუყოფელი 641 მან. და ამ ფულიდან, თუ ისურვებთ, მსახურნი დავაჯილდოვოთო. კრებამ 300 მან. გაიღო ჯილდოდ და დანარჩენი 341 მან. სხვა ძირითად თანხას მიუმატა. წაიკითხეს საბჭოს მოხსენება, რომ გამგეობის წევრთ და თავმჯდომარეს ჯამაგირები გაუორკეცდეს, ესე იგი ორს წევრს თითოს 1200 მან. წელიწადში 600 მან. მაგიერ და თავმჯდომარეს კი 2,400 მან. 1200 მან. მაგიერ. ეს მოულოდნელი გადიდება ჯამაგირებისა შედარებით ბანკის სიმდიდრესა გადამეტებულად ეჩვენა კრებას. ბევრმა სთხოვა რადგან ბანკი ჯერ მოღონიერებული არ არის, ორმა წევრმა იკმარონ 1800 მან. ე. ი. თითომ 900 მან., ხოლო თავმჯდომარეს მიეცეს 1800 მან. ანუ 600 მანეთით მეტი შარშანდელზეო. სხვებმა შეჰქმნეს ყვირილი: მიეცით, ნუ გვწყენინებთო. ბოლოს კრებამ კენჭის ყრით გადასწყვიტა ჯამაგირების მომატება.

აქაური

სასამართლო

კაცის მოკვლა.

18 მარტს, გორში, ტფილისის ოლქის სასამართლოს სესიამ გაარჩია საქმე დვალის მცხოვრების თავ. მიხეილ ფავლენიშვილისა, რომელსაც გლეხის ყარამან კოპაძის მოკვლა ჰბრალდებოდა. როგორც ოქმიდანა სჩანს, 1902 წლის 9 სექტემბერს თავ. იასონ და მიხეილ ფავლენიშვილები სწვევიან დღესასწაულის გამო ქვემო-აჩაბეთის მცხოვრებს ზურაბა ბაბუციძეს, მოუთხოვნიათ ღვინო და შესდგომიან სმას მასპინძლებთან ერთად. იქვე სადილზე მოსულან ამავე სოფლის მცხოვრებნი გაბრიელ ნოხაძე, ნიკოლოზ მაისურაძე, სოლომონ კასრაძე, ყარამან კოპაძე და სხვ. კარგად რომ შეზარხოშებულან, მოქეიფეთ შემოერთებიან სხვანიც და გაუმართავთ ცეკვა-სიმღერა. ზუა ქეიფის დროს მიხეილ ფავლენიშვილს უთქვამს, სხვა ღვინო მოიტანეთ, ეს ისეთი

უნდა ეკითხოსო. იგივე აზრი გამოსთქვა კომისიის წევრმა ჯაყელმა და პანასევიჩის და საზონოვის ცოდვა მხოლოდ ის არის, რომ პირველად ხელს რომ აწერდნენ, თავისი აზრიც მაშინვე უნდა მიემატებინათ. ჩემის აზრით, დაასკვნა თავმჯდომარემ, ბ-ნი გაიდებუროვი კომისიიდან გამოსვლას ამით ვერ გაამართლებსო.

მეორე საყვედურის შესახებ, ვითომ გამგეობა არ ასრულებდეს კომისიის გარდაწყვეტილებებს, თავმჯდომარემ უპასუხა, რომ ზოგჯერ მათი შესრულება მართლა შეუძლებელია ხოლმე და უმეტეს ნაწილად-კი თვით კომისიის წევრები არიან მიზეზიო. პირობის ძალით შენობის მასალა ჯერ უნდა წევრებმა გასინჯონ, რომ შენებას შეუდგნენო. კომისიის წევრები-კი, მაგ., შარშან, როდესაც საბჭოს სახლი ჩასაბარებელი იყო, რამდენჯერმე მოვიწვიეთ და არ მობრძანდნენო. თქვენ გინდათ, რომ კომიტეტის ერთი მუხლი აასრულოთ და დანარჩენები-კი დაარღვიოთო.

ექიმი ელიავაც იმ აზრისა იყო, რომ ბ-ნ გაიდებუროვს საკმაო საფუძველი არა ჰქონდა კომისიის მიტოვებისა. მაგრამ არც გამგეობას ჰქონდა უფლება „ოტსტავკა" მიეღო, რადგან ეს უფლება საბჭოს ეკუთნის და არა გამგეობასაო. თავმჯდომარემ აუხსნა, რომ აქ არაფერი „ოტსტავკა" არა ყოფილა, არამედ პირდაპირ უარის გამოცხადება იყოო.

გამგეობის წევრმა ბ-ნმა ივანოვმა, რომელიც საზოგადოდ მონაწილეობას არ იღებს, თუ სხდომას თავმჯდომარეობს ბ-ნი ვოლსკი, სრულიად მოულოდნელად გამოაცხადა: გაიდებუროვის განცხადება გამგეობას არ მოჰხსენებია, მე პირველად მესმის ეს ამბავიო.

ბ-ნმა გაიდებუროვმა, რასაკვირველია, ისარგებლა შემთხვევით და პატეტიურად შეჰყვირა: „აი, ბატონებო, რა წესებია გამგეობაშიო". მაგრამ ტყუილს მოკლე ფეხები აქვს და ივანოვის ხრიკიც მალე გამოაშკარავდა.

ხმოსანმა თარუმოვმა სთქვა, რომ პანასევიჩს და საზონოვს მადლობის მეტი არა ეთქმით რა, რადგან თუმცა საკმაო ყურადღება არ მიაქციეს კანცელარიულ მხარეს, მაგრამ მაინც ქალაქის ინტერესები ამოქმედებდათო, როდესაც ოქმზე თავისი შენიშვნები წააწერესო.

ბ-ნი წერეთელი ისე ემუდარებოდა გაიდებუროვს, დარჩით კომისიაშიო, თითქო უმისოდ ქვეყანა დაიღუპებოდა. მაგრამ იგი არ დათანხმდა და პირიქით გამოაცხადა, მე ვიცი, რომ ჩემი კომისიაში ყოფნა ბევრს არ ესიამოვნებაო. ეს იქნება მართალიც იყოს. ბ-ნმა ელიავამ შენიშნა, ოქმებს სახლში რომ არ უგზავნიდეთ ხელის მოსაწერად, მაშინ ასეთი „ნედორაზუმენიე" აღარ მოხდებოდაო.

ამ დროს ბ-ნი ბარაკოვსკი წამოდგა და ბრძანა: გამოვუცხადოთ ქალაქის მდივანს concahe ო (მწუხარება)... რასაკვირველია, ამ მოულოდნელ deus ex machina მა ყველანი გააოცა. მდივანმა მაშინვე მოსთხოვა თავმჯდომარეს, ნება მომეცით პასუხი მოვახსენოო და უეჭველია, კარგ პასუხს მიიღებდა ბ-ნი ბარაკოვსკი, რომ თავმჯდომარეს მაშინვე მიეცა ნება. შემდეგ-კი თვით მდივანმა აღარ ინდომა ლაპარაკი და განაცხადა, რომ წერილობით აღსნას შემოვიტანო. ნეტავი რა ბრალსა სდებს ბ-ნი ბარაკოვსკი მდივანს?

გაიდებუროვის მაგიერ აარჩიეს მ. ნაკაშიძე. სარევიზიო კომისიაში-კი არავინ არ ისურვა შესვლა.

შემდეგ აირჩიეს ქალაქის ლომბარდის გამგედ თავ. მელიტონ ლორთქიფანიძე. ეს მესამედ ირჩევენ და ყოველთვის მხოლოდ ერთი შავი მოსდის. ახლაც ასე იყო. ნეტავ ვისია ეს ერთი დაუძინებელი შავი კენჭი? ნუ კი გეგონებათ, რომ შარშან ერთისა იყო და წელს მეორისა. ამ ნაირი შავი მხოლოდ ერთია!

ქალაქის ბიუჯეტი 10 მარტს კიდევ განუხილველი დარჩა, მაგრამ კრების გაგრძელება შემდეგ ორშაბათისთვის დანიშნეს განგებ ამ საკითხის გასარჩევად. ხოლო არჩევნები ქალაქის თავისა, მისის მოადგილესი და მდივნისა დანიშნულია ამ თვის 24-სთვის. ხმა დადის, რომ რუსები და სომხები ერთად მოქმედებენო. სომხებს უკვე ჰყავთ მ. ა. ვერმიშევი, რომელმაც „ცენზის" ქაღალდი წარადგინა გამგეობაში და განცხადება შეიტანა, ყუთს ვიდგამ გამგეობის წევრის თანამდებობაზეო.

აქაურ სომხებს „პროპორციონალურ წარმომადგენლობის" პრინციპი ისე ღრმად გასჯდომიათ ძვალ-რბილში, რომ თურმე მეორე კანდიდატიც გამოჰყავთ—ბ-ნი ვართანოვი!

ქალაქის მდივნად აგერ 15 წელიწადია იმ. მესხი გვყავს. ასეთ გამოცდილ მდივანს სანთლითაც რომ ეძებოთ, ვერ იპოვნით; ახლა კი თურმე ვიღაც კიშინევიდან გადმოვარდნილს, ასახელებენ!

ასეა, ჩემო მკითხველო, კაცი რომ თავისს თავს უზამს, მტერი ვერ უზამსო. ეს ერთი ქალაქი იყო, სადაც ქართული სული ტრიალებდა. ჩვენის უგუნურობით, ბავშურ თავმოყვარეობითა და უმსგავს გრძნობის და ვაჟბატონების აყოლით ამასაც ვკარგავთ!

ნეტავი დღეს მაინც შეიგნეს აქაურმა ქართველებმა, მაჰმადიანი იყოს გინდ ქრისტიანი, რომ მათი ხსნა მხოლოდ ერთობაშია?

24 მარტი გვიჩვენებს ამას.

ნი.

წყალ-წყალა ღვინოა, რომ კაცს არ დაელევნებაო. ამაზე ყარამან კოპაძეს უპასუხნია: „რა, შვილოსა, თქვენ მაგაზე უკეთესი ღვინო თავის დღეში არა ჰქონიათ შინაო. შეექეცით, მიირთვით! როგორც შინ, ისე აქ დღესასწაულში მე გარჩენ თავადოო". შექეიფიანებული თავადები ძალად ათამაშებდნენ თურმე გლეხებს. ამაზე გლეხებს უპასუხნიათ: რას ჩაგვაცივდით! ჩვენ გლეხები ვართ, თქვენ თავადები, განა ჩვენ საერთო გვაქვს რამე ერთმანეთში? უკეთესია ნუ შეგვაწუხებთ, თქვენ გაატარეთ დროებაო. ამავე დროს ყარამან კოპაძეს მოუხდია ქუდი მიხეილ ფავლენიშვილისათვის, ერთი დოქი ღვინო წაუღია და წასულა ეზოში მინდორზე საქეიფოდ. კოპაძეს გამოსდევნებია რამდენიმე კაცი ქუდის გამოსართმევად. კოპაძეს ბინძური სიტყვა უთქვამს, რაზედაც მიხეილ ფავლენიშვილს უთქვამს: რა უნდა ვუყო ეხლა მაგას მაგისთანა საქციელისათვისაო. კოპაძეს უპასუხნია: რა უნდა მიყო, შენი ულვაშები ჰგავს სიანჩხლისაგან გაკაპასებულ კატისა და მელის ულვაშებსაო. ფავლენიშვილს უძვრია ხანჯალი და იქვე მოუკლავს კაპანაძე. ამ საქმის გამო პასუხის გებაში მიცემულმა თავ. მიხეილ ფავლენიშვილმა განაცხადა, რომ მთვრალი ვიყავი და არაფერი არ მახსოვსო. ოლქის სასამართლომ დამნაშავედ იცნო თავ. მიხეილ ფავლენაშვილი და გადაუწყვიტა 8 თვით საპყრობილეში დაპატიმრება.

დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

20 მარტი.

სოფია. საერთო ბანკში დიდი ბოროტ-მოქმედება აღმოაჩინეს. ფინანსთა მინისტრმა ეს ამბავი კრებას აცნობა და მოითხოვა დამნაშავეთა გადაყენება.

მოსკოვი. აპრილისათვის მოსკოვი ჰმზადდება ჩუქურთმებით. მუშაობა დაიწყეს კიდეც საბჭოს სახლიდან. სათეატრო მოედანზე მშვენიერი კარავი შენდება.

კილი. იმპერატორი დღეს დილით აქ მოვიდა და გემ „ჰოჰენცოლერნ"-ით 7 საათს კოპენჰაგენს გაემგზავრა.

პორტ საიდი. გერმანიის კრონპრინცი და პრინცი ეიტელ-ფრიდრიხი კონსტანტინეპოლს წავიდნენ.

ლონდონი. დეპუტატთა პალატამ მესამედ წაკითხვის შემდეგ მიიღო წინადადება, რომლითაც საზღვაო დაწესებულებამ სათადარიგო ზღვაოსანთა რიცხვს უნდა მოუმატოს; თუ ომიანობა იქმნება, ვოლონტერებიც უნდა მოიწვიოს მთელი დედამიწის სხვა-და-სხვა ადგილას ზღვაში მოსამსახურედ.

ვენა. დღეს დასრულდა კამათი შეთანხმების შესახებ კანონ-პროექტის გამო იმ კომისიამ, რომელსაც ეს საგანი განსახილველად ჰქონდა. მინისტრ-პრეზიდენტმა კერბერმა აღნიშნა ამ კანონ-პროექტის მონარქიისათვის დიდი მნიშვნელობა. პანგერმანისტ-დეპუტატის შალკის წინადადება, გერმანიასთან სადამოჟნო და სავაჭრო კავშირი დადდოთო, 24 ხმის უმეტესობით წინააღმდეგ 4-ისა უარ-ჰყვეს.

ლონდონი. „მორნინგ პოსტ"-ს ტანჟერიდან ატყობინებენ, რომ ფეცისაკენ გზა შეკრულია, რადგან ბენი ჰასანებსა და ანდას ხალხებს შუა ბრძოლაა. არც ტანჟერისაკენაა გზა თავისუფალი. სხვა-და-სხვა ადგილებიდან არეულობის ამბება მოდის. მთავრობა ძალას ვერ იჩენს.

„დეილი ტელეგრაფ"-ს ადენიდან ატყობინებენ, რომ ინგლისელ მეცნიერს ბუნების-მეტყველს ბიურის მარანის მთებში, ადენიდან 120 მილის მანძილზე, ღალატობით თავს დაეცნენ ბედუინები. უმეტესი წილი მხლებელთა დაჭრილია.

ვენა. გაზ. „პოლიტიშე კორრესპონდენც"-ის ცნობებით, რუსეთის მთავრობას კიდევ მიუმართავს ბოლგარიისათვის და შეუტყობინებია, რომ რუსეთისა და ავსტრო-ჰუნგრეთის მიერ შემუშავებული რეფორმები სრულიად ეთანხმებიან ეხლანდელ საქმეთა პოლიტიკურ მდგომარეობასა, მაგრამ მაკედონელ კომიტეტების პროპაგანდა (ქადაგება) ხელს უშლის რეფორმების განხორციელებასაო. თუ ბოლგარია არა ერთ გაფრთხილებას ყურადღებას არ მიაქცევს და ბალკანეთში არეულობას მაინც კიდევ ხელს შეუწყობს, ამის პასუხის გება თითონვე თავს დააწვდება. რუსეთის მთავრობა შეუცვლელად იმ გზას დაადგება, რომელიც „პრავიტელსტვენი ვესტნიკ"-ში აღნიშნული იყო.

ლონდონი. „ტაიმს"-ი იუწყება, რომ ტანჟერში მთავრობის სხვა-და-სხვა ჯარები ერთმანერთს შეეტაკებიან. ტეტუანის მაძიებელი ტაზუს დაბრუნდა და იქ დაბანაკდა. მდგომარეობა უფრო გამწვავდა.

კონსტანტინეპოლი. კვირის წინ მიტროვიცაში მომხდარმა შეტაკებამ მთავრობის ჯარისა და ალბანელებისა და რუსეთის კონსულის დაჭრამ აქ შიში მოჰგვარა მთავრობას. სმირნის ვილაეთის 16 ბატალიონს ბრძანება მოუვიდა, სალონიკს წადითო.

ლონდონი. 1902 წლის 18 მარტიდან ინგლისის სახელმწიფო შემოსავალი იყო — 161.199,780 გირვანქა სტერლინგი, მაშინ როდესაც წინა წელს კი შემოსავალი იყო 152·601,637 გირვანქა.

21 მარტი.

რომი. „გაზეტ."-ი გვაუწყებს: ჩვენ ოფიციალური ცნობები მივიღეთ, რომ ინგლისის მეფე აპრილში ჰფიქრობს რომში მოსვლას.

პარიზი. საფრანგეთის აკადემიამ პროფესორ რუს, პასტერის სახელობაზე დაარსებულ ინსტიტუტის ხელმძღვანელს, დაუნიშნა პრემიათ 100 ათასი ფრანკი. ეს პრემია დაარსებულია ბანკირ ოზიესაგან უშესანიშნავეს აღმოჩენისათვის უკანასკნელ სამის წლის განმავლობაში.

კონსტანტინეპოლი. იტალიის ელჩს დიდხანს ჰქონდა რჩევა დიდ ვეზირთან და სთხოვდა, რეფორმების მალე განხორციელებას. ჰფიქრობენ, რომ ხიდის აფეთქება შინაურ ორგანიზაციის წევრების საქმე უნდა იყოს. ეჭვი არ არის, რომ ჩერკეზ-ბეის მახლობლად დინამიტის აფეთქების განზრახვაც იმათი საქმე უნდა იყოს. ამ ამბავმა აქ დიდი გაბოროტება გამოიწვია, რადგანაც მეგობარი სახელმწიფოები ურჩევენ, თავი დაანებოს საშიშ ზომებს მიღებას, როგორც არის აღმოსავლეთ რუმელიის დაჭერა.

როგორც გაზეთებს ბელგრადიდან ატყობინებენ, 19 მარტს (1 აპრილს) რუსეთის კონსულის (მიტროვიცაში) მადლობელნი უნდა ვიყოთ, რომ არ შესრულდა ყველა ქრისტიანეთა ამოწყვეტის განზრახვა. ავსტრო-ჰუნგრეთის ელჩმა კალიჩემ პორტას განუცხადა და ურჩია, რაც შეიძლება მალე აღადგინოს წეს-რიგი. დიპლომატიურ წრეებში იმ აზრისანი არიან, რომ ეხლა, ასეთ გარემოებაში, პორტა იძულებული იქმნება ალბანელების წინააღმდეგ როგორმე მოსპოს უსკუბის ვილაიეტში. ამას აქამდის ხელს უშლიდა ალბანელთა პარტია იილდიზ-კიოსკში.

რომი. დღეს მეფისა და დედოფლის თანადასწრებით გაიხსნა საერთაშორისო ისტორიული კონგრესი.

კონსტანტინეპოლი. დღეს დიდი ვეზირი ფერიდ-ფაშა და სამინისტროს მდივანი წავიდნენ რუსეთის საელჩოში და ელჩს ზინოვიევს სულთნის სახელობით მწუხარება გამოუცხადეს მიტროვიცაში მომხდარ ამბების და იქაური რუსეთის კონსულის დაჭრის გამო. ელჩს ისინი არწმუნებდნენ რომ ბოროტ-განმზრახველნი და მათი მოკავშირენი სასტიკათ დასჯილნი იქნებიან და სულთანმა ბრძანა, მიიღონ ზომები სრულის წეს-რიგის დასამყარებლათ. როგორც სჩანს, ამ შემთხვევამ პორტაზე დიდი შთაბეჭდილება იქონია. უმაღლესმა სამხედრო კომისიამ დაადგინა, მიანდოს მხნე შემსი-ფაშას ალბანელების წინააღმდეგ მოქმედების დაწყობა.

სოფია. ბანკში ბოროტ-მოქმედების შესახებ გამოძიება განსაკუთრებულ კომისიას მიანდვეს.

კოპენჰაგენი. დანიის მეფემ იმპერატორი ვილჰელმი დანიის ფლოტის ადმირალათ დანიშნა. ტურინგენის ულანთა პოლკს იმპერატორმა უბოძა მათის მეფის მეფე ქრისტიანეს სახელის ვენზელი-ეპოლეტებზე. პრინცი ვოლდემარი გერმანიის ფლოტში ჩაირიცხა.

ლისაბონი. მეფე ედუარდი მდინარე ტაგოს ჩასართავს მივიდა.

კოპენჰაგენი. 5 საათზე მოვიდა გემ ჰოჰენცოლერნზე იმპერატორი ვილჰელმი. მიეგებნენ: სამეფო გვარეულობა და მრავალი ხალხი, რომელმაც აღტაცებით მიაცილა იმპერატორი და მეფე ქრისტიანე ამალიენბორგის სასახლემდე.

პეტერბურგი. სამხედრო სამინისტროს მთავარი ინტენდანტის თანაშემწე გენერალ-ლეიტენანტი როსტოვსკი მთავარ საინტენდანტო სამმართველოს უფროსად და სამხედრო სამინისტროს მთავარ ინტენდანტად დაინიშნა.

რედაქტორ-გამომცემელი **ალ. ჯაბადარი**

გამოსადეგი ცნობანი

მიმოსვლა რკინის გზის მატარებლებისა

15 ოქტომბრიდან 15 მაისამდე

(ფრჩხილებს გარედ ნაჩვენებია პეტერბურგის საათი, ფრჩხილებში-კი—ტფილისისა)

ა) ტფილისიდან მიდის:

ბათუმს:—1) საფოსტო № 3 საღამოს 7 ს. 06 წ. (8 ს. 18 წ.); 2) სამგზავრო № 5 დილის 8 ს. 50 წ. (9 ს. 48 წ.).

ბაქოს:—1) საფოსტო № 4 დილის 11 ს. 5 წ. (12 ს. 3 წ.); 2) სამგზავრო № 6 საღამოს 9 ს. 11 წ. (10 ს, 9 წ.); 3) სწრაფი № 20 (სამშაბათობით, პირდაპირ მოსკოვამდე)—დილის 7 ს. 18 წ. (8 ს. 16 წ.).

ყარსს:—1) საფოსტო № 7/71 საღამოს 10 ს. 29 წ. (11 ს. 27 წ.); 2) სამგზავრო და საქონლის. № 74/75 დილის 11 ს. 30 წ. (12 ს. 28 წ.).

მიხაილოვოსა და ბორჯომს:—სამგზავრო № 7 ნაშუადღევის 1 ს. 52 წ. (2 ს. 50 წ.).

ბ) ბათუმიდან გამოდის:

ბაქო-ტფილისისაკენ:—1) საფოსტო № 4 საღამოს 9 ს. 54 წ. (10 ს. 52 წ.); 2) სამგზავრო № 6 დილის 7 ს. 50 წ. (8 ს. 48 წ.).

ყორაპნამდე: საღამოს 11 ს. 23 წ. (12 ს. 21 წ.

გ) ბაქოდან გამოდის:

ტფილის-ბათუმისაკენ:—1) საფოსტო № 3 საღამოს 11 ს. 45 წ. (12 ს. 43 წ.); 2) სამგზავრო № 5 ნაშუადღევის 2 ს. 42 წ. (3 ს. 40 წ.).; 3 სწრაფი № 19 (მარტო ტფილისამდე) (პარასკევობით) პირდაპირ მოსკოვიდან მოსული)—დილის 6 ს. (6 ს, 58 წ.).

დ) ქუთაისიდან გამოდის:

ბაქო-ტფილისისაკენ:—ღამის 1 ს. 40 წ. (2 ს. 38 წ.).

ბათუმისაკენ:—1) ღამის 3 ს. 10 წ. (4 ს. 8 წ.); 2) ნაშუადღევის 4 ს. 10 წ. (5 ს. 8 წ.)! 3) საღ. 6 ს. 40 წ. (7 ს. 38 წ.).

ყორაპნისაკენ:—ღამის 3 ს. 10 წ. (4 ს. 8 წ.)

ე) ფოთიდან გამოდის:

რიონ-ქუთაისამდე:—დილის 6 ს. (6 ს. 58 წ.)

სამტრედია-ბათუმამდე:—ნაშუადღევის 3 ს. 27 წ. (4 ს. 25 წ.).

სამტრედია-ბაქომდე:—საღამოს 10 ს. 49 წ. (11 ს. 47 წ.). და საღამოს 11 ს. 30 წ. (12 ს. 28 წ.).

განცხადებანი

ყვირილის თეატრის
ამხანაგობა

ამით აცხადებს, რომ 1 მაისს მოჰხდება **საჯარო ვაჭრობა**, რომლის დროსაც გაიცემა ყვირილის თეტრის შენობის გაკეთება მარტო ხის ნაწილი, ქვითკირის გარდა, 2.000 მან. ღირებულობისა, მასალა ამხანაგობისა იქმნება. ვისაც ჰსურს მონაწილეობა მიიღოს ვაჭრობაში, დაწვრილებით პირობებისა და გეგმის ნახვა შეუძლიან ჭიათურაში, ივანე არდიშვილთან და ყვირილაში, მიხეილ გაჩეჩილაძის წიგნის მაღაზიაში.

ამხანაგობის თავმჯდომარე კნ. ბარბარე წერეთლისა. (10—8)

ხეხილის ნერგები

საზღვარ-გარეთისა და ადგილობრივ საუკეთესო ჯიშისა იყიდება ზომიერ ფასად ფარს. იაკ. ავსარქისოვის მამულში.

ადრესი: უბრალო წერილებისთვის—[illegible] ამიერ კავკასიის რკინის გზის სადგური; ხოლო ფულისა და შეკვეთილ წერილებისა—**გორში**, ფარს იაკ. ავსარქისოვს. კატალოგები მსურველთ უფასოდ ეგზავნებათ. (10—7)

ტეხნიკოსი

გიგო თოიძე

იღებს **შენობების** გეგმათა შედგენას და სავარაუდო ხარჯთ-აღრიცხვის გამოანგარიშებას ყველასათვის ხელ-მისაწვდომ პირობით.

ტფილისი, ჩუღურეთი, გონჩაროვის ქუჩა 28.

(10—5.—7)

ჩამოტანილია ტფილისში ამხანაგობა «შრომის» სანერგეებიდან

ხეხილები

1—3 წლისა უცხოეთის და ადგილობრივ ჯიშისა.

მიჰმართეთ **ბჟერანიანცს** მელიქ-ბახტამიანცის მაღაზიაში, სადაც ამ ხეხილების აწყობია. (10—6)

ქუთაისში

სამ. ბ. თოფურიას

სამკურნალო,

რომელიც იმყოფება **მათის უმაღლესობის პრინც ალექსანდრე ოლდენბურგელის მფარველობის ქვეშ.** სამკურნალოში 60 საწოლი შინაგან, ნერვებისა, სახირურგიო, დედათა და თვალით ავადმყოფთათვის, მშობიარეთა განყოფილებით და ქიმიურ-მიკროსკოპიულ გამოკვლევათა კაბინეტით. გადამდების სენით და სულით ავადმყოფებს სამკურნალო არა იღებს. (10—9)

წიგნების გამომცემელ ამხანაგობის კიოსკში

იყიდება 1903 წლის

კალენდრები

1) კედ. კალენდარი ფასი 40 კ.; 2) საქართველოს კალენდარი გუნიასი—60 კ. უყდოდ და 70 კაპ. ყდით. 3) პატარა ჯიბის კალენდარი—20 კ. 4) ჩარკვიანის გამოც. კედლის კალენდარი 40 კაპ.

შეიძლება ფასდადებით გაიწეროთ: **Тифлисъ, Грузинское Издательское Т—во,** ლორის-მელიქოვის ქუჩა.

ОТКРЫТА ПОДПИСКА
НА
„ШЯРКЫ РУСЪ"

(Русскій Востокъ).

„ШЯРКЫ РУСЪ" будетъ выходить на адербайджанскомъ языкѣ въ Тифлисѣ съ 30-го марта 1903 г. по слѣдующей программѣ: 1. Правительственныя распоряженія. 2 Телеграммы „Россійскаго телеграфнаго агентства" и собственныхъ корреспондентовъ. 3. Хроника мѣстной жизни и свѣдѣнія о внутренней жизни Кавказскаго края. 4. Внутреннія извѣстія и иностранное обозрѣніе. 5. Экономическій и торговый отдѣлъ. 6. Фельетонъ (научно-литературный). 7. Судебный отдѣлъ, 8. Смѣсь. 9. Справочный отдѣлъ. 10. Объявленія. „Шяркы Русъ" будетъ выходить—по воскресеньямъ, средамъ и пятницамъ. О выходѣ прибавленій на русскомъ и персидскомъ языкахъ—будетъ объявлено особо.

Подписная цѣна до конца 1903 г.: съ доставкой въ Тифлисѣ 5 руб., на 6 мѣс. 4 руб съ пересылкой иногороднымъ до конца года 6 руб., на 6 мѣс. 5 руб.; за границу до конца года 9 руб. Подписка принимается въ конторѣ изданія, Тифлисъ, Орбеліановская ул., № 12.

Редакторъ-издатель

Мохаммедъ Шахтахтинскій.

ტფილისის
სამარხი კასა

ქართულ თეატრის დარბაზში, მარტის 23 რიცხვს, კვირას, დილის 11 საათზედ დანიშნულია ტფილისის სამარხი კასის წევრთა საზოგადო კრება: განსახილველად და დასამტკიცებლად წლიურის ანგარიშისა, ამოსარჩევად სამის სარევიზიო და ერთის გამგეობის წევრისა და მათი ნაცვლებისა ეს კრება, რადგანაც მეორედ ინიშნება კანონიერად ჩაითვლება რამდენი წევრიც უნდა დაესწროს. (3—2)

განცხადება

ვაჭრობა ფართლეულობის საქონლით დაბა ყვირილაში რაფიელ გველესიანისა.

პატივი მაქვს ვაცნობო შორაპნის მაზრის საზოგადოებას, რომ მაღაზია, რომელიც ყვირილის სადგურის პირ-და-პირ მქონდა, გადავიტანე ზედა ხიდის გვერდზედ.

მაღაზიაში იშოვება ყოველ გვარი ახლად მიღებული კარგი საქონელი. იმედი მაქვს, საზოგადოება უყურადღებოდ არ დასტოვებს ოცდა ათის წლის გაცნობილს მაღაზიას. საქონელი იყიდება დაკლებულ ფასად.

შორაპნის მაზრის საზოგადოების პატივის მცემელი **რაფიელ გველესიანი.** (20—19)

Дозв. ценз. Тифлисъ, 23 марта, 1903 г.

ელექტრონის სტამბა წიგნ. გამ. ქართ. ამხ. (Электропеч. Груз. Издат. Т—ва)